



ელექტროენერგიის ბაზრის მიმოხილვა


ენერგეტიკა
ყოველთვიური მიმოხილვა
30 ოქტომბერი 2017

ენერგეტიკის სამინისტროს მენეჯმენტში ცვლილებები. ენერგეტიკის მინისტრად დაინიშნა ყოფილი ენერგეტიკის მინისტრის მოადგილე, ილია ელოშვილი. მისი ახალი მოადგილეები არიან: რომეო მიქაუტაძე, გადაცემის ლიცენზიანტი, საქრუსენერგოს, ყოფილი დირექტორი; თორნიკე რიჟვაძე, შპს აჭარისწყალი ჯორჯიას ყოფილი იურიდიული დირექტორი; და გიორგი ჩიქოვანი, რომელიც ადრე ხელმძღვანელობდა ენერგეტიკის და წყლის კომპონენტს დელოიტში, USAID/G4G-ის პროგრამის ფარგლებში.

ქვეყნის უმსხვილეს სადისტრიბუციო კომპანიას, ენერგო-პრო ჯორჯიას, საერთაშორისო სარეიტინგო სააგენტო, Fitch Ratings-მა, "BB" რეიტინგი მიანიჭა. რეიტინგი დაფუძნებულია ბაზრისა და კომპანიის შედეგების სამწლიან პროგნოზზე. რეიტინგზე პოზიტიურად მოქმედებს სემეკის რეგულაციის მეთოდოლოგია, რომელიც გულისხმობს ტარიფის სამ წელიწადში ერთხელ გადახედვას, ისევე როგორც 2018 წლის იანვრიდან კაპიტალის ღირებულების საშუალო შეწონილი განაკვეთის (WACC) გაზრდა 13.54%-დან 16.4%-მდე. კომპანიის მოსალოდნელი წლიური კაპიტალური დანახარჯები 2017-2021 წლებში საშუალოდ 66.0 მილიონ ლარს შეადგენს.


შუახვევი ჰესმა 2017 წლის სექტემბერში გენერაციის ლიცენზია მიიღო. შუახვევი ბოლო 50 წლის მანძილზე საქართველოში აშენებული უმსხვილესი ჰესია. ბოლო 2 წლის განმავლობაში, საქართველოს ჯამური დადგმული სიმძლავრე 10.0%-ით გაიზარდა და 4,104.9 მგვტ. შეადგინა. 2016-2017 წლებში ექსპლუატაციაში შევიდა 12 ჰიდრო (352.7 მგვტ.) და ერთი ქარის (20.7 მგვტ.) ელექტრო სადგური. ზემოხსენებული სიმძლავრის ზრდის 89.5% სამ მსხვილ ჰიდროსადგურზე მოდის: დარიალი (108 მგვტ.), ხელვაჩაური (47.5 მგვტ.) და შუახვევი (178.7 მგვტ.). რამდენიმეთვიანი ტესტირების რეჟიმის შემდეგ, ხელვაჩაური ჰესმა თავის ნორმალურ საპროგნოზო გამომუშავებას 2017 წლის აპრილში დაიწყო, ხოლო შუახვევის გამომუშავების დაგეგმილ დონეზე გასვლა ოქტომბრის შემდეგაა მოსალოდნელი. 2017 წლის საპროგნოზო ბალანსის მიხედვით, ამ სამი ჰესის გამომუშავება 2017 წელს 0.5 ტვტ. სთ.-ს გაუტოლდება და ქვეყნის მთლიანი მოხმარების (11.9 ტვტ.სთ.) 4.2%-ს დააკმაყოფილებს.

გრაფიკი 1: დადგმული სიმძლავრის ზრდა, მგვტ.



წყარო: ესკო, სსე

გრაფიკი 2: მოსალოდნელი დადგმული სიმძლავრის ზრდა, მგვტ.



წყარო: ენერგეტიკის სამინისტრო

ქვეყნის დადგმული სიმძლავრე 2020 წლისთვის 13.8%-ით გაიზარდება, თუ მშენებლობის ეტაპზე მყოფი ყველა პროექტი დროულად დასრულდება. ჯამურად 337.2 მგვტ. სიმძლავრის 35 ჰესი მშენებლობის ეტაპზეა და მათი დასრულება 2020 წლის ბოლომდეა დაგეგმილი, რაც ქსელზე მიწოდებას 1,586.0 გვტ.სთ.-ით გაზრდის. აგრეთვე, გაზისა და ნავთობის კორპორაციის მიერ დაგეგმილია გარდაბანში მეორე კომბინირებული ციკლის თბოელექტროსადგურის მშენებლობა, რომელიც 2020 წლისთვის დასრულდება და ძირითადად ქვეყანაში ზამთრის ენერგოდეფიციტის დაკმაყოფილებას მოხმარდება. ზემოთაღნიშნულის გარდა, დაგეგმილი ენერგეტიკული პროექტების ნუსხა მოიცავს 100-ზე მეტ პროექტს კვლევისა და დამუშავების ეტაპზე.

ნინო პაპავა

საინვესტიციო კვლევების დეპარტამენტის უფროსი | n.papava@gt.ge | +995 322 401 111 ext.4693

მარიამ ჩახვაშვილი


ანალიტიკოსი | mchakhvashvili@gt.ge | +995 322 401 111 ext.7897



ელექტროენერგიის გამომუშავება, მოხმარება და ექსპორტი


შიდა მოხმარება სექტემბერში წლიურად 16.3%-ით არის გაზრდილი, 9 თვის მონაცემებით კი 9.0%-ით. სექტემბრის მაღალი ზრდა ძირითადად განპირობებული იყო პირდაპირი მოხმარების 91.1%-იანი მატებით, რაც, თავის მხრივ, ჯორჯიან მანგანუმის მოხმარების მნიშვნელოვანი ზრდის (+149.7% წ/წ) შედეგი იყო. ჯორჯიან მანგანუმის მოხმარების ზრდის წილმა ჯამურ ზრდაში 7.6 პროცენტული პუნქტი შეადგინა. კიდევ უფრო მნიშვნელოვანი როლი ითამაშა გამანაწილებელი ლიცენზიანტების მოხმარების 13.0%-იანმა ზრდამ (10.1 პროცენტული პუნქტი): ენერგო-პროს აბონენტთა მოხმარება, ყოფილი კახეთის ენერგოდისტრიბუციის მომხმარებელთა ჩათვლით, გაიზარდა 13.2%-ით, ხოლო თელასმა სექტემბრის თვეში გასულ წელთან შედარებით 12.5%-ით მეტი ელექტროენერგია მოიხმარა. აფხაზეთის რეგიონის მოხმარება სექტემბერში წლიურად 8.2%-ით შემცირდა და ქვეყნის მოხმარების 11.0% შეადგინა. ელექტროენერგიის ტრანზიტი სექტემბრის თვეში წლიურად 68.6%-ით შემცირდა და 31.9 გვტ.სთ. შეადგინა, 2017 წლის პირველი ცხრა თვის ჯამური ტრანზიტი კი წინა წელთან შედარებით 63.9%-ითაა შემცირებული. აზერბაიჯანიდან თურქეთში გატანილმა ელექტროენერგიამ სექტემბერში განხორციელებული მთლიანი ტრანზიტის 59.1% შეადგინა, 9 თვის მონაცემებით კი 74.2%. დანარჩენი ტრანზიტი განხორციელდა რუსეთიდან სომხეთში. ექსპორტი სექტემბერში უმნიშვნელო იყო.

გრაფიკი 3: ელექტროენერგიის მოხმარება და ექსპორტი, გვტ.სთ.



წყარო: ესკო

გრაფიკი 4: განაწილების ლიცენზიანტების მოხმარება, გვტ.სთ.




წყარო: ესკო

ელექტროენერგიის იმპორტი სექტემბერში წლიურად 5.5-ჯერ გაიზარდა და 132.9 გვტ.სთ შეადგინა, რაც ჯამური მიწოდების 13.9%-ია. მიუხედავად ზრდის ასეთი ტემპისა, იმპორტმა დაგეგმილ მონაცემს მხოლოდ 0.7%-ით გადააჭარბა. იმპორტის 60.6% განხორციელდა აზერბაიჯანიდან, ხოლო დანარჩენი რუსეთიდან. ადგილობრივი გენერაცია გაიზარდა წლიურად 2.8%-ით, ხოლო ჰიდროგენერაცია 10.4%-ით (მთლიანი მიწოდების 74.1%). დერეგულირებული სადგურების ჯამური წარმოება გაზრდილია წლიურად 11.7%-ით, რაც ამ კატეგორიაში 2016 წლის ბოლოს დამატებული მსხვილი ჰიდროსადგურების (108.0 მგვტ. დარიალი, 47.5 მგვტ. ხელვაჩაური და 178.7 მგვტ. შუახევი) ინტეგრირების შედეგია. ენგურის და ვარდნილის წარმოება სექტემბრის თვეში მნიშვნელოვნად გაიზარდა (+35.4% წ/წ) და ქსელში მიწოდებული ელექტროენერგიის 44.5% შეადგინა. ამავდროულად, დანარჩენი რეგულირებული სადგურების წარმოება 22.8%-ით შემცირდა. თბოსადგურების მიერ გამომუშავებული ელექტროენერგიის მოცულობა წლიურად 32.4%-ით არის შემცირებული (მთლიანი მიწოდების 11.2%), 2016 წლის დაბალი ბაზიდან (-40.6% წ/წ). ახალი ქარის ელექტროსადგურის გამომუშავების წილი მთლიან მიწოდებაში 0.7% იყო. გარანტირებული სიმძლავრის საფასური შემცირდა წლიურად 24.0%-ით და 0.6 აშშ ცენტი შეადგინა კვტ.სთ.-ზე. გარანტირებული სიმძლავრის საფასურის შემცირება განპირობებული იყო მტკვარი ენერგიის და ჯი-ფაურის სარემონტო სამუშაოებით თითქმის მთელი თვის განმავლობაში.




გრაფიკი 5: ელექტროენერგიის გამომუშავება, იმპორტი და მოხმარება, გვტ.სთ.



წყარო: ესკო

გრაფიკი 6: ჰეს-ების გამომუშავება, გვტ.სთ.




წყარო: ესკო

ელექტროენერგიის ფასები საქართველოსა და თურქეთში


2017 წლის სექტემბერში ელექტროენერგიის საბალანსო ფასი საქართველოში წლიურად 9.6%-ით გაიზარდა და კვტ.სთ.-ზე 4.8 აშშ ცენტი შეადგინა. საბალანსო ბაზარზე ჯამური მიწოდებული ელექტროენერგიის 23.7% ივაჭრებოდა, დანარჩენი ვაჭრობა კი ორმხრივი ხელშეკრულებების საფუძველზე მოხდა. იმპორტის საშუალო ფასი სექტემბერში წლიურად უმნიშვნელოდ შემცირდა და კვტ.სთ.-ზე 4.8 აშშ ცენტი შეადგინა. საბაზრო ფასი თურქეთში წლიურად 7.5%-ით გაიზარდა და კვტ.სთ.-ზე 5.3 აშშ ცენტს გაუტოლდა, რაც 10.9%-ით აღემატება საქართველოში საბალანსო ელექტროენერგიის ფასს.

გრაფიკი 7: ელექტროენერგიის ფასები საქართველოსა და თურქეთში, აშშ ცენტი კვტ.სთ.-ზე



წყარო: ესკო, EPIAS

გრაფიკი 8: იმპორტირებული და ექსპორტირებული ელექტროენერგიის საშუალო ფასები, აშშ ცენტი კვტ.სთ.-ზე



წყარო: ესკო, საქსტატი
შენიშვნა: იმპორტი იყო უმნიშვნელო



ცხრილი 1: ელექტროენერგიის ბალანსი (გვტ.სთ)

	ოქტ-16	ნოემ-16	დეკ-16	იან-17	თებ-17	მარ-17	აპრ-17	მაის-17	ივნ-17	ივლ-17	აგვ-17	სექ-17	2016	9თ17
შიდა მოხმარება	883	967	1,162	1,085	1,012	1,019	933	856	870	985	1,037	918	11,007	8,715
წლიური ზრდა	13%	11%	14%	7%	13%	8%	8%	1%	3%	10%	14%	16%	6%	9%
აფხაზეთის რეგიონი	142	196	254	252	234	205	171	132	102	113	119	101	1,927	1,430
წლიური ზრდა	24%	10%	9%	7%	20%	7%	14%	8%	1%	3%	2%	-8%	7%	7%
კვალიფიციური საწარმოები	75	81	123	107	113	129	128	95	131	136	138	122	1,209	1,098
წლიური ზრდა	-2%	-4%	44%	18%	25%	12%	5%	-27%	6%	21%	66%	91%	-1%	18%
სადისტრიბუციო კომპანიები	666	690	785	726	666	685	634	629	637	736	780	695	7,872	6,187
წლიური ზრდა	13%	14%	13%	6%	9%	8%	7%	6%	3%	9%	10%	13%	7%	18%
ენერგო-პრო ჯორჯია	405	407	455	413	381	410	390	393	399	463	484	456	4,740	3,788
წლიური ზრდა	8%	10%	8%	3%	10%	9%	6%	6%	4%	11%	12%	13%	3%	9%
თელასი	231	253	297	281	256	246	216	209	211	240	261	239	2,789	2,160
წლიური ზრდა	25%	22%	21%	11%	8%	8%	9%	7%	0%	5%	9%	12%	15%	8%
კახეთის ენერგო დისტრიბუცია	30	30	33	32	28	29	27	27	28	33	35	-	343	239
წლიური ზრდა	5%	6%	6%	8%	5%	7%	8%	6%	6%	14%	9%	-	2%	-4%
ადგილობრივი გენერაცია	907	998	1,186	955	809	741	817	1,093	1,138	1,247	1,035	821	11,574	8,655
წლიური ზრდა	14%	18%	27%	-1%	0%	-12%	-7%	2%	4%	18%	8%	3%	7%	2%
ჰიდროსადგურები	653	642	682	564	362	544	722	1,085	1,128	1,234	944	706	9,329	7,288
წლიური ზრდა	22%	17%	12%	-10%	-33%	-22%	-1%	1%	3%	16%	6%	10%	10%	-1%
თბოსადგურები	254	354	497	385	442	188	86	0	1	5	83	107	2,235	1,297
წლიური ზრდა	-1%	19%	51%	14%	62%	26%	-40%	N/A	-76%	321%	31%	-32%	-6%	15%
ქარის სადგურები	-	2	7	7	6	9	9	8	9	7	8	7	9	70
წლიური ზრდა	N/A	N/A	N/A	N/A	N/A	N/A	N/A	N/A	N/A	N/A	N/A	N/A	N/A	N/A
იმპორტი	17	13	33	179	250	311	147	2	0	1	73	133	479	1,095
წლიური ზრდა	-71%	-85%	-73%	92%	106%	134%	493%	-41%	-100%	-78%	597%	449%	-32%	163%
ექსპორტი	0	0	0	1	0	0	0	200	230	222	32	0	559	685
წლიური ზრდა	N/A	N/A	N/A	N/A	N/A	N/A	N/A	5%	9%	71%	16%	N/A	-15%	0.23
წმინდა ექსპორტი	(17)	(13)	(33)	(178)	(250)	(311)	(146)	199	230	221	(41)	(133)	80	(410)
ტრანზიტი	131	131	134	10	16	4	5	4	-	-	93	32	850	164
წლიური ზრდა	N/A	N/A	N/A	N/A	-49%	-84%	-90%	N/A	N/A	N/A	-33%	-69%	N/A	-64%

წყარო: ესკო



მნიშვნელოვანი შეტყობინება

ეს დოკუმენტი მკაცრად კონფიდენციალურია და მომზადებულია სს "გალტ ენდ თაგარტი" ("Galt & Taggart") მიერ, რომელიც არის სს საქართველოს ბანკის ჯგუფის ("ჯგუფი") წევრი, მხოლოდ საინფორმაციო მიზნებისთვის და მასში ნახსენები კომპანიებისგან დამოუკიდებლად. ეს დოკუმენტი არ წარმოადგენს რაიმეს ნაწილს და არ უნდა იქნას განხილული, როგორც შეთავაზება ან კლიენტების მოზიდვა ან მოწვევა რაიმე აქტივების ყიდვისთვის ან გაყიდვისთვის, ან გამოწერისთვის და ამ დოკუმენტის არცერთი ნაწილი არ ქმნის საფუძველს კონტრაქტისთვის ან ვალდებულებისთვის და არ შეიძლება განხილული იყოს, როგორც რეკომენდაცია რაიმე მსგავსი ქმედებისთვის.

გალტ ენდ თაგარტი უფლებამოსილია აწარმოოს პროფესიონალური აქტივობა საქართველოს ბაზარზე. ამ დოკუმენტის გრძელვადიანი გავრცელება იურისდიქციების ფარგლებში შეიძლება აკრძალული იყოს კანონით. პირებს, რომელთა მფლობელობაშიც ეს დოკუმენტი აღმოჩნდება, გალტ ენდ თაგარტისგან მოეთხოვებათ დაიცვან ყველა ის შეზღუდვა, რომელიც მოქმედებს მათ მიმართ. ეს დოკუმენტი არ არის განზრახული გავრცელებისთვის, პირდაპირ ან ირიბად, ან გამოყენებისთვის ნებისმიერი პირის ან ორგანიზაციის მიერ, რომელიც არის რაიმე ადგილის, სახელმწიფოს ან სხვა რაიმე იურისდიქციის მკვიდრი ან მოქალაქე, სადაც ამგვარი გავრცელება, პუბლიკაცია, ხელმისაწვდომობა ან გამოყენება კანონის ან რეგულაციის საწინააღმდეგო იქნებოდა ან რომელიც მოითხოვდა რეგისტრაციას ან ლიცენზირებას ამგვარი იურისდიქციის ფარგლებში.

ინვესტიციები (ან მოკლევადიანი გარიგებები) განვითარებად ბაზრებზე დაკავშირებულია მნიშვნელოვან რისკთან და მერყეობასთან და შეიძლება არ იყოს ყველასთვის შესაფერისი. ამ დოკუმენტის მიმღებმა პირებმა უნდა მიიღონ საკუთარი საინვესტიციო გადაწყვეტილებები, რომლებიც მათ მიანააზრებია სწორად, მათ საკუთარ ამოცანებსა და ფინანსურ მდგომარეობაზე დაყრდნობით. ამ პროცესში ამგვარი მიმღები პირები დარწმუნებული უნდა იყვნენ თავიანთ ქმედებებში, როცა ახორციელებენ რისკების შეფასებას, რომლებიც დამახასიათებელია განვითარებად ბაზრებზე ინვესტიციებისთვის, მათ შორის პოტენციური პოლიტიკური და ეკონომიკური არასტაბილურობა, სხვა პოლიტიკური რისკები, კრძოლი, ცვლილებები კანონებში და ტარიფებში, აქტივების ნაციონალიზაცია და ვალუტის გაცვლითი კურსის რისკი.

გალტ ენდ თაგარტის ან ჯგუფის რომელიმე წევრის ან მათი დირექტორების, თანამშრომლების, ფილიალების, მრჩეველების ან აგენტების, ან რომელიმე სხვა პირის მიერ არ მომზადრან რაიმე რწმუნება, გარანტიის ან ვალდებულების წარდგენა ან აღება, აშკარად გამოხატულის ან ნაგულისხმევის, და ამ დოკუმენტს არ აქვს პრეტენზია მასში არსებული ინფორმაციის უტყუარობაზე, სისწორეზე და ამომწურავობაზე (და იმაზე, რომ რაიმე ინფორმაცია არ არის გამოტოვებული ამ დოკუმენტიდან) და არ შეიძლება მასზე დაყრდნობა. ეს დოკუმენტი არ უნდა განიხილებოდეს, როგორც ბაზრების, ინდუსტრიების და/ან კომპანიების სრული აღწერა, რომლებიც მასში არის ნახსენები. ამ დოკუმენტის არცერთი ნაწილი არ წარმოადგენს სამართლებრივ, საინვესტიციო, ბიზნეს ან საგადასახადო რჩევას, წარსულის ან მომავლის მიმართ, გალტ ენდ თაგარტის ან ჯგუფის რომელიმე წევრის ან მათი დირექტორების, თანამშრომლების, ფილიალების, მრჩეველების ან აგენტების მხრიდან. დოკუმენტის მიმღებებს მოეთხოვებათ ჩაატარონ მათი საკუთარი დამოუკიდებელი კვლევა და შეფასება ამ დოკუმენტში განხილულ საკითხებთან დაკავშირებით. ნებისმიერი საინვესტიციო გადაწყვეტილება მიღებული უნდა იქნას მხოლოდ ინვესტორის პირადი შეხედულებით. კანონის თანახმად, გალტ ენდ თაგარტი ან ჯგუფის რომელიმე წევრი ან მათი დირექტორები, თანამშრომლები, ფილიალები, მრჩეველები ან აგენტები პასუხისმგებლობას არ იღებენ ნებისმიერ ვალდებულებაზე რაიმე ზიანის ან ზარალის მიმართ, რომელიც შეიძლება წარმოიქმნას, პირდაპირ ან ირიბად, ამ დოკუმენტის ან მისი შინაარსის რაიმე გამოყენების შედეგად, ან რაიმეწინააღმდეგო უკავშირდებოდეს ამ დოკუმენტს, ან რაიმე ქმედების, ან უმოქმედობის შედეგად რომელიმე მხარის მიერ, ამ დოკუმენტის საფუძველზე.

ამ დოკუმენტში არსებული ინფორმაცია ექვემდებარება შემოწმებას, სრულყოფას და ცვლილებას შეტყობინების გარეშე და გალტ ენდ თაგარტს არ აქვს რაიმე ვალდებულება ამ დოკუმენტში არსებული ინფორმაციის განახლების ან აქტუალურობის შენარჩუნების მიმართ. ამ დოკუმენტის მიწოდება არც ერთ შემთხვევაში არ ნიშნავს იმას, რომ არ მომზადრან ინფორმაციის ცვლილება ამ დოკუმენტის თარიღის შემდგომ ან იმ თარიღის შემდგომ, როდესაც ეს დოკუმენტი უკანასკნელად განახლდა, ან რომ ამ დოკუმენტში მოცემული ინფორმაცია უტყუარი რაიმე პერიოდისთვის იმ თარიღის შემდეგ, როდესაც მისი მიწოდება მოხდა, ან, თუ განსხვავებულია, ამ დოკუმენტში მითითებული თარიღის შემდეგ. გალტ ენდ თაგარტის ან ჯგუფის რომელიმე წევრის ან მათი დირექტორების, თანამშრომლების, ფილიალების, მრჩეველების ან აგენტების მიერ არ გაცემულა რაიმე რწმუნება ან გარანტია, აშკარად გამოხატული ან ნაგულისხმევი ამ ინფორმაციის სისწორესთან და ამომწურავობასთან დაკავშირებით.

ამ დოკუმენტში მოწოდებული ინფორმაცია და გამოთქმული მოსაზრებები ემყარება ინფორმაციას, რომელიც ხელმისაწვდომი იყო გამოცემის თარიღისთვის და წარმოადგენს მხოლოდ გალტ ენდ თაგარტის მიერ კვლევის ნაწილს. მოსაზრებები, პროგნოზები და შეფასებები, რომლებიც მოცემულია მასში, მიღებულია მესამე მხარის წყაროებიდან, რომლებიც მიჩნეულია სანდოდ და კუთვნიან დიდი ინფორმაციის, და შეიძლება შეიცვალოს შეტყობინების გარეშე. მესამე მხარის პუბლიკაციები, კვლევები და გამოკითხვები ზოგადად აჩვენებს, რომ ამ დოკუმენტში მოცემული ინფორმაცია მიღებულია მხოლოდ მესამე მხარის წყაროებიდან, რომლებიც მიჩნეულია სანდოდ, მაგრამ არ არსებობს ამ მონაცემების სისწორის და ამომწურავობის გარანტია. შესაბამისად, არ შეიძლება დაყრდნობა ნებისმიერ იმ მონაცემზე, რომელიც მოცემულია ამ დოკუმენტში. არც გალტ ენდ თაგარტი, არც ჯგუფის რომელიმე წევრი, ან მათი დირექტორები, თანამშრომლები, ფილიალები, მრჩეველები ან აგენტები არ გასცემენ რაიმე რწმუნებას ან გარანტიას, აშკარად გამოხატულს ან ნაგულისხმევს, ამ დოკუმენტის სარგებლობაზე მომავალი საქმიანობის პროგნოზირების საკითხში, ან რომელიმე ფასიანი ქაღალდის ან აქტივის მიმდინარე ან მომავალი ღირებულების შეფასებაში.

გალტ ენდ თაგარტს და ჯგუფს ნებისმიერ წევრს შეიძლება ჰქონდეს ბიზნესი ან ცდილობდეს ბიზნესი-ურთიერთობის დამყარებას კომპანიებთან, რომლებიც მოცულნი არიან ამ კვლევით. შედეგად, ინვესტირებმა უნდა იცოდნენ ინტერესთა პოტენციური კონფლიქტის შესახებ, რომელსაც შეუძლია გავლენა მოახდინოს ამ დოკუმენტში არსებული ინფორმაციის ობიექტურობაზე.

ეს დოკუმენტი კონფიდენციალურია გალტ ენდ თაგარტის კლიენტებისთვის და კვლევითი მასალების გამოწვევებისთვის. ამ დოკუმენტის ან მისი ნებისმიერი ნაწილის უნებართვო კოპირება, გავრცელება, პუბლიკაცია ან განმეორებითი გადაცემა რაიმე მდლით ან რაიმე ფორმით ნებისმიერი მიზნისთვის მკაცრად აკრძალულია.

ამ დოკუმენტის მიმღები პირები პასუხისმგებელი არიან ვირუსების და სხვა დესტრუქციული მოვლენებისგან დაცვაზე. ელექტრონული გადაცემის მიღება ხდება მიმღები პირის საკუთარი რისკის ხარჯზე და წარმოადგენს მის პასუხისმგებლობას, მიიღოს ზომები, რომ ვირუსებისგან და სხვა დესტრუქციული მოვლენებისგან უზრუნველყოს დაცვა.

საინვესტიციო კვლევის დეპარტამენტის ხელმძღვანელი
ნინო პაპავა | n.papava@gt.ge

ეკონომისტი
ევა ბოჭორიშვილი | evabochoishvili@gt.ge

ეკონომისტი
ლამა ქვთარაძე | lashakvataradze@gt.ge

ანალიტიკური განყოფილების უფროსი
გიორგი ირემაშვილი | giremashvili@gt.ge

ანალიტიკოსი
მარიამ ჩახვაშვილი | mchakhvashvili@gt.ge

ანალიტიკოსი
ბაჩანა შენგელია | bshengelia@gt.ge

ანალიტიკოსი
კახაბერ სამყურაშვილი | ksamkurashvili@gt.ge

ანალიტიკოსი
იოსებ ქუმსიშვილი | ikumsishvili@gt.ge

გალტ ენდ თაგარტი
მისამართი: აღმაშენებლის გამზირი 79, თბილისი, 0102,
საქართველო
ტელ: + (995) 32 2401 111
ელ. ფოსტა: research@gt.ge